სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ფილოსოფიის ისტორიის კათედრა, ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული („ა"კატეგორია), ეთიკისა და რელიგიის ფილოსოფიის კათედრა, ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული („ა"კატეგორია), თეორიული ფილოსოფიის კათედრა, ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული („ა"კატეგორია) სამსახურში მისაღებად რექტორის 2025 წლის 20 ოქტომბრის N:: 250/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ 2025 წლის 10 ნოემბრის დადგენილების N: 79/2025 საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

№ ოქმი 4 (შემაჯამებელი)

ქ. თბილისი ,,11" დეკემბერი
2025 წ. 16.00 საათი, თსუ II კორპუსი, აუდიტორია №205

სხდომას ესწრებოდა კომისიის 5 წევრიდან 5 წევრი:

ა)დემურ ჯალაღონია - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);

ბ)ირაკლი ბათიაშვილი - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);

გ)მამუკა დოლიძე - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი);

დ)ვალერიან რამიშვილი - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;

ე) მირიან ებანოიძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

დღის წესრიგი:

1. სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ფილოსოფიის ისტორიის კათედრა, ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული („ა"კატეგორია), ეთიკისა და რელიგიის ფილოსოფიის კათედრა, ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული („ა"კატეგორია), თეორიული ფილოსოფიის კათედრა, ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული („ა"კატეგორია) ვაკანსიებზე გამოცხადებული კონკურსის შედეგების შეჯამება.

2.კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის დასამტკიცებლად თსუ აკადემიური საბჭოსთვის გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავჯდომარის დემურ ჯალაღონიას მოკლე ინფორმაცია კონკურსის კომისიის მიერ, კონკურსანტების შეფასების ორივე ეტაპის შედეგების შეჯამების და კენჭისყრის შედეგების შესახებ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპის მიმდინარეობა და ფარული კენჭისყრის შედეგები.

ა) თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის ს/ს ინსტიტუტის ფილოსოფიის ისტორიის კათედრის ასოცირებული პროფესორის 1 ერთ საშტატო ერთეული („ა" კატეგორია) ვაკანტურ საკონკურსო თანამდებობაზე საბუთები შემოიტანა 1 კანდიდატმა, მამია სურმავამ.

მამია სურმავამ შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს", II კატეგორია („პედაგოგიური გამოცდილების „შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან" მიიღო მაღალი შეფასება, III კატეგორია (სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა) მიიღო საშუალო შეფასება, IV კატეგორიაში (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება (იხ. ოქმი N2).

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ ის უკვე იკავებდა ფილოსოფიის ისტორიის კათედრის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობას. ამ ხნის განმავლობაში იგი ჩართული იყო და არის საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების განხორციელებაში, კარგად იცნობს ვაკანსიის პროფილს, მის მიერ შესაძლო წასაკითხ სასწავლო დისციპლინებში წარმოადგენს სილაბუსებს, რომლებიც ფილოსოფიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებშია შეტანილი; ყველა ეს სასწავლო კურსი საავტოროა, კონკურსანტს აქვს მათი წაკითხვის მრავალწლიანი გამოცდილება. მის მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები ფორმით და შინაარსით სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ.

კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში იკვეთება კვლევითი სიახლეების ძიება და მათი სასწავლო სამეცნიერო პრაქტიკაში დანერგვის პრაქტიკა.

კონკურსანტის აქვს საინტერესო მონოგრაფიები (ხუთი), სახელმძღვანელოები და პუბლიკაციები (სამოცდასამი), რომელიც გამოქვეყნებულია სამეცნიერო ჟურნალებში და საერთაშორისო საკონფერენციო მასალებში; ნაშრომები შესრულებულია მაღალ სამეცნიერო დონეზე და ისინი სრულად შეესაბამება ვაკანსიის მიმართულებას; მათ შორის გამოიჩევა მონოგრაფიები როგორიცა, „პოლიტიკის ფილოსოფიის კონცეფტები. დემოკრატია", „ჯონ ლოკის ენის ფილოსოფია", „რობერ ჯორჯ კოლინგვუდის ფილოსოფიური კონცეფციის სპეციფიკისათვის". სადაც გამოკვეთილია ფილოსოფიური საკითხების

გადაწყვეტის გზების ძიება, რაც ცალსახად ასაბუთებს, რომ კონკურსანტის სამეცნიერო მუშაობა ხელს შეუწყობს ახალი კვლევითი თემატიკის შემოტანას სამეცნიერო სივრცეში, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას.

კონკურსანტს ბოლო 6 წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული (ოცდახუთ) საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციაში; არის არაერთი საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელი, და რეცენზენტი, დოქტორანტთა კვლევითი პროექტებისა და სემინარების რეცენზენტი.

კონკურსანტის მიერ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობით, სამეცნიერო პუბლიკაციებით, (რომელიც კარგად ჩანს კონკურსანტის ანკეტიდან) და მზარდი სამეცნიერო პროგრესით კონკურსანტს უდავოდ შეუძლია ხელი შეუწყოს თსუ-ს საერთაშორისო სამეცნიერო რეიტინგის ამაღლებას.

წარმოდგენილ მოტივაციაში მას კარგად აქვს გამოკვეთილი საკონკურსო პროფილი და რეალისტურად მსჯელობს, თავად რა წვლილის შეტანა შეუძლია დარგის განვითარებაში, როგორც საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება-განვითარების, ისე სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით, თავისი კვლევის თემატიკით, მუშაობის გამოცდილებითა და სასწავლო პროცესში ჩართულობით. (დეტალურად იხ. ოქმი №1 და მისი დანართი „კონკურსანტის შეფასების ფორმა").

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, შედეგად დადასტურდა, რომ მას აქვს რეალური საგნობრივი ცოდნა და გამოცდილება საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების გაძღოლისა. არის მიზანდასახული და აქვს სამეცნიერო - კვლევითი გეგმა, რომელიც თანხვედრაშია საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან. არის საჭირო და კარგი კადრი, ჯანსაღი საზოგადოებრივი და აკადემიური ღირებულებებით, რომლის შენარჩუნება აუცილებელია საუნივერსიტეტო სივრცეში.

პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან (იხ. ოქმი №2).

გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (5 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე) დაუჭირა მხარი მამია სურმავას კანდიდატურას.

კონკურსანტის მიერ შემოთავაზებული სახელმძღვანელოები, მეთოდური მასალები, მნიშვნელოვანი წინაპირობაა სტუდენტების თეორიული და პრაქტიკული უნარების განვითარების კუთხით; ფილოსოფიის საბაკალავრო და სამაგისტრო რეაკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებში მის მიერ შემოტანილი ახალი სალექციო კურსები გამოირჩევა ახალი თანამედროვე მიდგომებითა და ინტერდისციპლინური ხედვით და სტუდენტებს თეორიულად და პრაქტიკულად შეასწავლის ფილოსოფიის ისტორიის

აქტუალურ თემებსა და საკვანძო საკითხებს. ფილოსოფიის ისტორიის მიმართულებით მის მიერ დაგეგმილი სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური აქტივობები ხელს შეუწყობს ახალი ცოდნის ტრანსფერს, რაც პოზიტიურად აისახება თსუ ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ფილოსოფიის ისტორიის კათედრის პროგრამების მდგრადობაზე და გრძელვადიან დინამიკაში განვითარებაზე. მან თავი გამოავლინა, როგორც მაღალი პასუხისმგებლობის მქონე პიროვნებამ და დაიმსახურა სტუდენტებისა და კოლეგების მხრიდან პატივისცემა.

ბ)თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტის ეთიკის და რელიგიის ფილოსოფიის კათედრის ასოცირებული პროფესორის 1 ერთ საშტატო ერთეული („ა" კატეგორია) ვაკანტურ საკონკურსო თანამდებობაზე საბუთები შემოიტანა ერთმა კანდიდატმა - ანასტასია ზაქარიაძემ.

ანასტასია ზაქარიაძემ შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება (კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს); II კატეგორიაში („პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან") მიიღო მაღალი შეფასება, ასევე, მაღალი შეფასება მიიღო III (სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა) კატეგორიაში, IV (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) კატეგორიებში (იხ.ოქმი № 2) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება.

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ მას აქვს ხანგრძლივი პედაგოგიური გამოცდილება. მის მიერ დანართის სახით წარმოდგენილი 7 სილაბუსიდან ფილოსოფიის აკრედიტებული პროგრამის სასწავლო კურსებია ბაკალავრიატში (3), ,,ეთიკა", ,,პედაგოგის პროფესიული ეთიკა", ,,ამერიკული ფილოსოფია". მაგისტრატურაში წარმოდგენილია ოთხი სილაბუსი- ,,მორალის ფილოსოფია", ,,პოლიტიკური ეთიკა", ,,ეკოლოგიური ეთიკა", ,,ბიოეთიკა" (ინგ.) აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ,,ბიოეთიკა" იკითხება ინგლისურ ენაზე. ყველა წარმოდგენილი სილაბუსი შეესაბამება გამოცხადებული ვაკანსიის პროფილს.

აღსანიშნავია, რომ კონკურსანტი არის კონსტანცას ,,ოვიდიუსის" უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი; ფილოსოფოს სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელი და სტუდენტთა პირველი ონლაინ ჟურნალის ,,ზნენი" სამეცნიერო ხელმძღვანელი,

სტუდენტთა ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენციის „თანამედროვეობის მორალური გამოწვევები" ორგანიზატორი, ტრირის უნივერსიტეტის ფილოსოფიის მიმართულების პროფ. მათეას ჰიერშთან კოლაბორიაციით დაარსებული დოქტორანტთა საერთაშორისო სემინარის ქართული მხარის ორგანიზატორი/ხელმძღვანელი, იუნესკოს ეგიდით ფილოსოფიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი კონფერენციის თანაორგანიზატორი, პროფესორთა სექციისა

და სტუდენტთა სექციის მოდერატორი. იგი არის მუდმივმოქმედი საერთაშორისო ფილოსოფიურ-თეოლოგიური თეორიული სემინარის ორგანიზატორი.

კონკურსანტი არის ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის მოდულის „ზნეობის ფილოსოფია და გამოყენებითი ეთიკა" ხელმძღვანელი, ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამის თანახელმძღვანელი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ორიგინალური სახელმძღვანელოები (5 მონოგრაფია) ავტორი და თანაავტორობია, მათ შორის პირველად ქართულ ენაზე თსუ გამომცემლობაში დაბეჭდილია სახელმძღვანელო ,,რელიგიის ფილოსოფია" სადაც თანაავტორი არის უცხოელი ცნობილი პროფესორი ნიკოლაე დურა.

იგი გახლავთ ფილოსოფიის /საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელი, რეცენზენტი და ოპონენტი, ფილოსოფიის სადოქტორო ნაშრომის (დისერტაციის) დაცვის კომისიის თავჯდომარე და არაერთგზის წევრი, ფილოსოფიის სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიის წევრი, ფილოსოფიის მიმართულებით საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიის წევრი, ამზადებს სტუდენტებს საერთაშორისო და ეროვნული კონფერენციისათვის

აქტიურად მონაწილეობდა თსუ ფილოსოფიაში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციისათვის მზადების პროცესში;

იგი არის არაერთი წიგნის, კრებულის, ჟურნალის რედაქტორი. მათ შორის:

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევების საერთაშორისო წელიწდეულის „ფილოსოფიურ–თეოლოგიური მიმომხილველი" თანა რედაქტორი N10- N15.

საერთაშორისო სამეცნიერო რეცენზირებადი (peer-reviewed) ჟურნალის „ფილოსოფიური კვლევები" *(Philosophy Study)* David Publishing Company. USA Print ISSN: 2159-5313 რედკოლეგიის წევრი.

სტრატეგი მარ საბა, იერუსალიმის სპარსელების მიერ ტყვედ აღების შესახებ 614 წელს. ქართული მოწმის პირველი სრული ინგლისური თარგმანი, შერჩეული ბერძნული, არაბული და სომხური პარალელებით, რობერტ რ. ფენიქს უმცროსი და კორნელია ჰორნი. გამოცემის სარედაქციო ბორდის რედაქტორი, // Strategius of Mar Saba, On the Captivity of Jerusalem by the Persians in 614 CE. The First Full English Translation of the Georgian Witness, with Selected Greek, Arabic, and Armenian Parallels, Robert R. Phenix Jr. and Cornelia Horn (Eastern Mediterranean Texts and Contexts 4, Georgian Texts and Contexts 1; Chesterfield, Missouri, 2022). At: https://a.co/d/chKBMEd.

კონკურსანტი არის არაერთი პრეზენტაციის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი, მათ შორის: სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული კვლევის შედეგად შექმნილი წიგნების: ანთიმოზ ივრიელის თხზულებების მე-2 ტომის, მონოგრაფიის „ანთიმოლოგიური შტუდიები" და სამენოვანი რჩეული თხზულებების, „ანთიმოზ ივერიელის დიდაქეები და სხვა თხზულებები"-ის აკადემიური გამოცემის თარგმანისა და მონოგრაფიის „ანთიმოზ ივერიელი-ქართულ-ევროპული დიალოგი" ავტორი და პრეზენტატორი.

კონკურსანტს მინიჭებული აქვს არაერთი ჯილდო და მედალი:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ოქროს მედლი (2025),
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შალვა ნუცუბიძის სახელობითი აკადემიური პრემია (2024),
ღვთისმშობლის მედლით რიმნიკუს მიტროპოლია (2023)
გამშვენებული ჯვარი - რიმნიკუს მიტროპოლია (2023).
წმ. ანდრია პირველწოდებულის ორდენი-ქართულ-რუმინული კულტურულ-სამეცნიერო და საგანმანათლებლო ურთიერთობების განმტკიცებისა და რუმინულ-ქართული უნივერსიტეტებს შორის ნაყოფიერი თანამშრომლობის საქმეში შეტანილი წვლილისათვის- ტომისის ეპარქიის მიტროპოლია, კონსტანცის ოვიდიუსის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტი.
წმ. ანთიმოზ ივერიელის მედალი-წმ. ანთიმოზ ივერიელის შემოქმედების შესწავლის საქმეში შეტანილი წვლილისათვის. ბუქარესტის მიტროპოლია. წმინდა ანთიმის მონასტერი.

იგი არის Erazmus+ პროგრამების კოორდინატორი: ბუქარესტის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი, ტრირის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი, მარტინ ლუთერის ჰალე- ვიტენბერგის უნივერსიტეტი, რიგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის და სოციოლოგიის დეპატრამენტი.

ფლობს ინგლისურს, ფრანგულს, რუმინულს და რუსულ ენებს.

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის მაღალი პროფესიული უნარ-ჩვევები, დადასტურდა, რომ მას აქვს რეალურად ღრმა ცოდნა და გამოცდილება, იგი გახლავთ დიდი გამოცდილების მქონე კადრი. მას შეუძლია საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების გაძღოლა. არის მიზანდასახული და აქვს რეალისტური სამეცნიერო - კვლევითი გეგმა, რომელიც თანხვედრაშია საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან. მისი შენარჩუნება საუნივერსიტეტო სივრცეში არის გარანტია უნივერსიტეტის სამომავლო პროფესიული განვითრებისა. პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან (იხ. ოქმი №2).

გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (5 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე) დაუჭირა მხარი ანასტასია ზაქარიაძის კანდიდატურას (ოქმი 3).

საკონკურსო კომისიის მიერ ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რადგან კონკურსანტის განათლება და სამეცნიერო ხარისხი, პროფესიული უნარ-ჩვევები, მონაცემები, მიღწევები სრულად შესაბამისობაშია გამოცხადებულ საკონკურსო პოზიციასთან.

კონკურსანტ ანასტასია ზაქარიაძის სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობა, რომელიც უკავშირდება ეთიკას. ბიოეთიკის, მორალის ფილოსოფიის თანამედროვე პრობლემებს, დაეხმარება ფილოსოფიის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევაში;

კონკურსანტის მიერ შემოთავაზებული სახელმძღვანელოები, მეთოდური მასალები მნიშვნელოვანი წინაპირობაა სტუდენტების თეორიული და პრაქტიკული

უნარების განვითარების კუთხით; ფილოსოფიის საბაკალავრო და სამაგისტრო რეაკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებში მის მიერ შემოტანილი სალექციო კურსები გამოირჩევა ახალი თანამედროვე მიდგომებითა და ინტერდისციპლინური ხედვით, რაც სტუდენტებისათვის საინტერესო და მნიშვნელოვანია დაეუფლონ ეთიკის, მორალის ფილოსოფიის, ბიოეთიკის, პრაგმატიზმის და ზოგადად ფილოსოფიის აქტუალურ თემებსა და საკვანძო საკითხებს.

კონკურსანტის სამეცნიერო კვლევები გამოირჩევა ორიგინალობით და თანამედროვე ტენდენციების ღრმა გააზრებით.

მან თავი გამოავლინა, როგორც მაღალი პასუხისმგებლობის მქონე პიროვნებამ და დაიმსახურა სტუდენტებისა და კოლეგების მხრიდან პატივისცემა.

გ)თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტის თეორიული ფილოსოფიის კათედრის ასოცირებული პროფესორის 1 საშტატო ერთეული („ა" კატეგორია) ვაკანტურ საკონკურსო თანამდებობაზე საბუთები შემოიტანა ერთმა კანდიდატმა **ნაპო კვარაცხელიამ.**

ნაპო კვარაცხელიამ შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება (კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს); II კატეგორიაში („პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან") მიიღო მაღალი შეფასება ასევე, მაღალი შეფასება მიიღო III (სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა) კატეგორიაში. IV (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) კატეგორიებში (იხ.ოქმი № 2) მიიღო მაღალი შეფასება.

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული დონე, უნარები. გასაუბრების შედეგად დადასტურდა რომ პრეტენდენტის კანდიდატურა მაღალი კვალიფიკაციის ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორია და სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებულ ვაკანსიის მოთხოვნებთან (იხ.ოქმი №3).

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ ის ფილოსოფიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ დღემდე უნივერსიტეტის თანამშრომელია, მას გააჩნია 55 წლის პედაგოგიური სტაჟი. ამ ხნის განმავლობაში იგი იყო თეორიული ფილოსოფიის კათედრის პროფესორი, კათედრის გამგე, ფილოსოფიის ხარისხის მიმნიჭებელ საბჭოს წევრი, თავმჯდომარე, ფილოსოფიის საბაკალავრო ნაშრომების დაცვის კომისიის წევრი, ფილოსოფიის სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიის წევრი.

კონკურსანტი არის ფილოსოფიის აკადემიის წევრი (1998 წ).

ჩართული იყო და არის საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების განხორციელებაში, კარგად იცნობს ვაკანსიის პროფილს, მის მიერ შესაძლო წასაკითხ სასწავლო დისციპლინებში დასახელების საგნებს, რომლებიც

ფილოსოფიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებშია შეტანილი; კონკურსანტს აქვს ყველა ამ სასწავლო კურსის ბაკალავრიატში (სულ 3), მაგისტრატურაში (სამი) წაკითხვის მრავალწლიანი გამოცდილება. წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები ფორმით და შინაარსით სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ, რეაკრედიტებულია.

განსაკუთრებით მაღალი ღირებულებისა ნაპო კვარაცხელიას ოთხი მონოგრაფია და სახელმძღვანელოები, რომლითაც სწავლობენ სტუდენტები.

იგი გახლავთ საბაკალავრო და სამგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელი, რეცეზენტი, სადოქტორო დისერტაციების ხელმძღვანელი, ოპონენტი. კონკურსანტი ასევე ნაყოფიერად მუშაობს სტუდენტების სამეცნიერო ფორუმებში ჩასართავად.

წარმოდგენილ მოტივაციაში მას კარგად აქვს გამოკვეთილი საკონკურსო პროფილი და რეალისტურად მსჯელობს, თავად რა წვლილის შეტანა შეუძლია დარგის განვითარებაში, როგორც საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება-განვითარების, ისე სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით, თავისი კვლევის თემატიკით, მუშაობის გამოცდილებითა და სასწავლო პროცესში ჩართულობით (დეტალურად იხ. ოქმი №1 და მისი დანართი „კონკურსანტის შეფასების ფორმა“).

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, კონკურსანტი ღრმად არის ჩახედული თეორიული ფილოსოფიის პრობლემატიკაში, მას გააზრებული აქვს ფილოსოფიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის მნიშვნელობა და არსი საუნივერსიტეტო სწავლებაში. მას აქვს ღრმა ცოდნა თეორიულ ფილოსოფიაში და გამოცდილება საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების გაძღოლის.

წარმოდგენილ სამოტივაციოში წერილში მას კარგად აქვს გამოკვეთილი საკონკურსო პროფილი და რეალისტურად მსჯელობს, თავად რა წვლილის შეტანა შეუძლია დარგის განვითარებაში, როგორც საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება-განვითარების, ისე სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი მიმა-რთულებით, თავისი კვლევის თემატიკით, მუშაობის გამოცდილებითა და სასწავლო პროცესში ჩართულობით (დეტალურად იხ. ოქმი №1 და მისი დანართი „კონკურსანტის შეფასების ფორმა“ და ოქმი №3).

გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (5 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე) დაუჭირა მხარი კანდიდატ ნაპო კვარაცხელიას კანდიდატურას.

საკონკურსო კომისიის მიერ ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება. კონკურსანტ ნაპო კვარაცხელიას სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობა, რომელიც უკავშირდება თეორიული ფილოსოფიას, დაეხმარება ფილოსოფიის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევაში;.

დაადგინეს:

ა) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის ს/ს ინსტიტუტის ფილოსოფიის ისტორიის კათედრის ასოცირებული პროფესორის 1 ერთ საშტატო ერთეული („ა" კატეგორია) გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა **მამია სურმავა.**

ბ) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ფილოსოფიის ს/ს ინსტიტუტის ეთიკის და რელიგიის ფილოსოფიის კათედრის ასოცირებული პროფესორის 1 საშტატო ერთეული („ა" კატეგორია) ვაკანტურ საკონკურსო თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა **ანასტასია ზაქარიაძე.**

გ) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე თეორიული ფილოსოფიის კათედრის ასოცირებული პროფესორის 1 საშტატო ერთეული („ა" კატეგორია) ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა **ნაპო კვარაცხელია.**

დაადგინეს:

ა)კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

ბ)კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის დასამტკიცებლად თსუ აკადემიური საბჭოსთვის გადაცემა.

კომისიის თავმჯდომარე:
დემურ ჯალაღონია

მოადგილე:
ირაკლი ბათიაშვილი

კომისიის მდივანი:
მამუკა დოლიძე

კომისიის წევრები:

ვალერიან რამიშვილი

მირიან ებანოიძე